02/11/2020

დაგლოცოთ მამა გაბრიელმა

არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი):
-მამა გაბრიელი მართლაც საკვირველი მამაა. თანამედროვეები კიდევ ვერ აღვიქვამთ ისე საფუძვლიანად, როგორც ისტორია შეაფასებს. არიან ეპოქალური მამები, წმიდანები, რომლებიც მომავალში გამოძახილს იძლევიან, რომელიც ერს თითქოს საუკუნეების განმავლობაში მიყვება . მისი მოცემული გზა და ცხოვრება ერს საუკუნეები მისდევს. ღირსი მამა გაბრიელი ამ ტიპის მამა იყო, რომელმაც დიდი მადლი შესძინა ქართველ ერს. სიყვარული ქრისტეს მხურვალე ერთგულების. მამა გაბრიელი ამით გამოირჩეოდა. არ არსებობდა მამა გაბრიელს ქრისტე ჩვეულებრივად ეხსნებია. ქრისტეს რომ იტყოდა, თან ხმა უკანკალებდა და ტირილს იწყებდა. ბოლომდე ვერ ამთავრებდა თითქოს ამ მარტივი სახელის თქმას, იმდენად ცოცხალი სიყვარული ჰქონდა უფლის. თითქოს ეს მოგვცა მთელს ერს.
დაგლოცოთ მამა გაბრიელმა.

karibche.ambebi.ge